

შპს “Trade Stone Iberia“

საიდენტიფიკაციო კოდი: 406 081 485

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირითადი საშუალებები	5	3,425	3,570
არამატერიალური აქტივები	-	1	1
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	-	4,246	4,246
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	1,788	-
სულ გრძელვადიანი აქტივები:		9,460	7,817
მარაგები	6	4,869	5,007
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	773	2,293
საგადასახადო აქტივები	8	191	213
გადახდილი ავანსი	-	22	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	131	427
სულ მიმდინარე აქტივები:		5,986	7,952
სულ აქტივები:		15,446	15,769
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	3,030	4,972
დაუფარავი ზარალი	-	(6,850)	(6,246)
სულ მფლობელთა კაპიტალი:		(3,820)	(1,274)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	10,238	10,482
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		10,238	10,482
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	844	647
მიღებული ავანსები	-	529	529
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	7,637	5,381
საგადასახადო ვალდებულებები	8	18	4
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,028	6,561
სულ ვალდებულებები:		19,266	17,043
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		15,446	15,769

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 04 ოქტომბერს.

დირექტორი : ვახტანგ ჩახნაშვილი

(406 081 485)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებულიკონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირითადი საშუალებები	5	3,425
არამატერიალური აქტივები	-	1
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	-	4,246
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	1,768
სულ გრძელვადიანი აქტივები:	9,460	7,817
მარაგები	6	4,809
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	773
საგადასახადო აქტივები	8	191
გადახდილი ავანსი	-	22
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	131
სულ მიმდინარე აქტივები:	5,988	7,952
სულ აქტივები:	15,448	15,769
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		
მფლობელთა კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	12	3,030
დაუფარავი ზარალი	-	(6,246)
სულ მფლობელთა კაპიტალი:	(3,820)	(1,274)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	10,238
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	10,238	10,482
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	844
მიღებული ავანსები	-	529
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	7,637
საგადასახადო ვალდებულებები	8	18
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები:	9,028	6,561
სულ ვალდებულებები:	19,266	17,043
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:	15,448	15,769

ბელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ბელმდევანელობის საბელით 2021 წლის 04 ოქტომბრის.

დირექტორი: ვახტანგ ჩაბნაშვილი



2 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 5-დან 15 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ამონაგები	13	3,218	3,180
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(146)	(139)
საერთო მოგება		3,072	3,041
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	15	(861)	(1,032)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	-	(59)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		2,152	2,009
ფინანსური დანახარჯი	16	(2,756)	(2,205)
არასაოპერაციო შემოსავალი	-	-	-
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		(2,756)	(2,205)
მოგება დაბეგვრამდე		(604)	(196)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
წმინდა მოგება		(604)	(196)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სულ სრული შემოსავალი		(604)	(196)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	4,972	(6,050)	(1,078)
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	(196)	(196)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	4,972	(6,246)	(1,274)
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	(604)	(604)
კაპიტალის შემცირება	(1,942)	-	(1,942)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	3,030	(6,850)	(3,820)

**კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,372
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(578)
სხვა ხარჯები	(4)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	2,789.00
გადახდილი პროცენტი	(924)
საბიუჯეტო გადასახდელები	(548)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,317.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-
მიღებული დივიდენდი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-
გაცემული დივიდენდი	-
კაპიტალის შემცირება	(1,943)
სესხის აღება	34,233
გაცემული სესხი	(81)
გასავალი სესხის დასაფარად	(33,858)
მიღებული პროცენტები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,648)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	(330.00)
კურსთა შორის სხვაობა	34
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	(296.00)
	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	427
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	131

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Trade Stone Iberia (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 2012 წლის 06 დეკემბერს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ისან-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი N 24ა. საიდენტიფიკაციო კოდი: 406 081 485.

ჯგუფის ძირითადი შემოსავალი გენერირდება საიჯარო საქმიანობიდან.

შვილობილი /მეკავშირე კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ფორმულა	26/02/2015	-	49%	ბუნებრივი აირის რეალიზაცია	საქართველო
შპს ჰაივორლდ	25/11/2014	25/11/2014	100%	-	საქართველო
შპს ფორმულა +	26/02/2015	26/02/2015	100%	საიჯარო მომსახურება	საქართველო
შპს General Cargo Expedition	19/02/2013	19/02/2013	100%	-	საქართველო
შპს Global Transit Expedition	12/02/2013	-	50%	-	საქართველო
შპს დეკო მალღივთან	11/11/2013	11/11/2013	50%	საიჯარო მომსახურება	საქართველო

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

კონსოლიდაცია. შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები	5-10 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	6-20 პროცენტი
მილსადენები და ავზები	10 -20 პროცენტი

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ამონაგები, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) პირველადი ადაპტაცია

ჯგუფის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 01 იანვარი.

წინა მომზადების საფუძველით ჯგუფს არ ევალებოდა და არ ახდენდა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შედგენას და გამოქვეყნებას.

4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	ექსპლუა ტაციაში არ შესული ძ.ს	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა და სხვა ძ.ს	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
31.12.2018	1,038	428	2,088	235	319	252	4,360
შესყიდვები/კაპიტა ლიზაცია	-	-	-	-	214	-	217
31.12.2019	1,038	428	2,088	235	533	252	4,574
შესყიდვები/კაპიტა ლიზაცია	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა					(184)	-	(184)
31.12.2020	1,038	428	2,088	196	351	252	4,353
ცვეთა და გაუფასურება							
31.12.2018	-	-	(444)	(86)	(106)	(77)	(713)
ცვეთა	-	-	(37)	(16)	(203)	(35)	(291)
31.12.2019	-	-	(481)	(102)	(309)	(112)	(1,004)
ცვეთა	-	-	(35)	(16)	(55)	(35)	(141)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	184	-	184
31.12.2020	-	-	(501)	(102)	(180)	(147)	(930)

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაუმთავრებელი წარმოება	4,869	5,007
სულ მარაგები:	4,869	5,007

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	544	501
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	229	3
მოთხოვნები საწესებო კაპიტალის შევსებაზე	-	1,789
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	773	2,293

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	39	34
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	92	393
საერთო ჯამში:	131	427

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	844	647
სულ ვალდებულება:	844	647

11. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

ჯგუფს სასესხო ვალდებულებები აღებული აქვს ქართუ ბანკისგან, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8 პროცენტს და დაფარვის ვადაა 2030 წლის 30 სექტემბერი. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მიღებული აქვს პარტნიორებისგან.

12. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის მფლობელთა საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,030 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი- 4,972 ათას ლარს), რომელიც აღიარებულია დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

13. ამონაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიჯარო შემოსავალი	2,279	3,012
პროდუქციის რეალიზაცია	939	168
სულ	3,218	3,180

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეულის ხარჯი	(146)	(139)
სულ	(146)	(139)

15. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიჯარო ხარჯი	(394)	(399)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(244)	(264)
ცვეთა და ამორტიზაცია	(141)	(291)
დაზღვევის ხარჯი	(14)	(11)
ქონების გადასახადი	(23)	(28)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(22)	(36)
სხვა საერთო ხარჯი	(23)	(3)
	(861)	(1,032)

16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური შემოსავალი		
საიჯარო მომსახურება	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი:	-	-
ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საპროცენტო ხარჯი	(815)	(1,387)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი	(1,841)	(818)
სულ ფინანსური ხარჯი:	(2,756)	(2,205)

17. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 04 ოქტომბრის ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.